

ინვესტიციების მაკროეკონომიკური რეგულირება საქართველოში

ლამარა მინდორაშვილი

ყოველი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას გამ-
საზღვრავს წარმოების საშუალებებისა და შემოსავ-
ლების გამოყენების ხასიათი. ფაქტობრივად, ყველა
ეკონომიკურ სისტემაში, მყარი მატერიალური ბა-
ზის შექმნა და განვითარება წარმოადგენს საზოგა-
დოების სტაბილური არსებობის საფუძველს.

საბაზრო მეურნეობის მართვის უმნიშვნელოვანე-
სი შემადგენელია ეფექტიანი საინვესტიციო საქმი-
ანობა. ინვესტიციური პროცესის აქტიუობა არსები-
თად განსაზღვრავს ეკონომიკის ცხოველქმედებას.
რაც უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს კაპიტალის
გაფართოებული კვლავწარმოების პროცესი, მით
უფრო სწრაფად ვითარდება ქვეყნის წარმოებრივი
და სოციალური აპარატი.

საქართველოში 90-იან წლებში გატარებულმა
ეკონომიკურმა რეფორმებმა შექმნეს გარკვეული
წინაპირობა ინვესტიციური პროცესის გააქტი-
ურებისათვის. რეფორმებს შორის განსაკუთრებული
ყურადღება დაეთმო მაკროეკონომიკურ სტაბილი-
ზებას. ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორ-
იტეტულ მიმართულებად განისაზღვრა ფინანსური
სტაბილიზება ინფლაციასთან ბრძოლა. ეროვნული
ვალუტის შემოღებისა და ჰიპერინფლაციის შე-
ჩერების შედეგად, გარკვეულწილად საფუძველი
დაეღო ეკონომიკური საქმიანობის გამოცოცხლე-
ბას. თუმცა, მიუხედავად ამისა, საქართველო მაინც
დაბალი ინვესტიციური აქტიუობით გამოირჩევა.
რაც ძირითადად, ქვეყნის არახელსაყრელი საინვეს-
ტიციო გარემოთია განპირობებული.

საქართველოში ფაქტობრივად ინვესტიციების
ყველა შიდა წყარო პარალიზებულია. მცირე ბიუ-
ჯეტის პირობებში სახელმწიფო ვერ ახორციელებს
ეკონომიკის იმ სფეროებისა და დარგების ინვე-
სტირებას, რომლებმაც შემდგომში ქვეყნის მაღალი
შემოსავლები დიდ ნაწილს შემოსავლები მხოლოდ
მიმდინარე მოთხოვნილებების დასაკმაყოფილე-
ლად ყოფნი. შესაბამისად, მათ არ რჩებათ სახსრე-
ბი დანაზოგებისათვის; საწარმოთა მოგებას უმნიშ-
ვნელო მოცულობის გამო, დაკარგა ინვესტიციური
ფუნქცია, ამორტიზაციის სახსრების გამო, დაკარგა
ინვესტიციური ფუნქცია, ამორტიზაციის სახსრები
არ არის საკმარისი გაცვეთილი და მორალურად
მოძველებული ძირითადი ფონდების ასანაზღაუ-
რებლად; კომერციული ბანკები ამჯობინებენ არ
გასცენ კრედიტები მაღალრისკიანი პროექტების
ინვესტირებისთვის. განსაკუთრებით შეზღუდულია

საინვესტიციო რესურსები იმ პროექტებისათვის,
რომელთა განხორციელება ხანგრძლივ პერიოდთა-
ნაა დაკავშირებული.

მსოფლიოში ინვესტირების. ინვესტიციული
პროცესის, საინვესტიციო საქმიანობის შესწავ-
ლის მეტად მდიდარი გამოცდილება არსებობს.
ეკონომიკური აზრის აღმოცენების მომენტიდან
მკვლევარების ყურადღების ცენტრში ყოველთვის
დომინირებდა ზედმეტი პროდუქტის შექმნის პრო-
ცესი. ეკონომიკური მეცნიერებების განვითარების
კვალობაზე იცვლებოდა შეხედულებები კაპიტალის
კვლავწარმოების შესახებ. ამ მიმართულებით კვ-
ლევაში უდიდესი მეცნიერული მნიშვნელობის წვ-
ლილი შეიტანეს ა. სმიტმა, დ. რიკარდომ, ა. მარ-
შალმა, კ. მარქსმა და სხვ. მე-2 საუკუნის 30-იან
წლებში ინგლისელი ეკონომისტის ჯ. მ. კეინის
ნაშრომმა „დასაქმების პროცენტისა და ფულის
ზოგადი თეორია“ რევოლუცია მოახდინა ეკონომი-
კურ მეცნიერებაში. კეინის თეორიაში მოცემულია
რაოდენობრივი კავშირები ინვესტიციებს, მოხმარე-
ბასა და შემოსავლებს შორის. ჯ. მ. კეინის ითვლება
თანამედროვე მაკროეკონომიკის ფუძემდებლად.

მე-20 საუკუნის უცხოელ მეცნიერებს შორის
ინვესტიციების ანალიზში უდიდესი ღვაწლი მი-
უძღვით: რ. სლოუს, ე. დომარს, ი. შემპენტერს, მ.
ფრიდმანს, ე. ლეონტევს, პ. მარეს და ა.შ.

საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გარ-
დამავალ პერიოდში საინვესტიციო სამიქნობის
რეგულირების ცალკეული საკითხები შესწავლაში
მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს თანამედროვე
ქართველმა მეცნიერ-ეკონომისტებმა: რ. კაკულიამ,
ი. მესტიამ, თ. შენგელიამ, ვლ. პაპავამ, ნ. ჭითანა-
ვამ, გ. მაღაშხიამ, ლ. ელიავამ და სხვებმა.

საქართველოში საჭიროა ინვესტიციური პრო-
ცესის გააქტიურების, საწარმოო პოტენციალის,
სრულიად ათვისებადი და ქვეყნის ინვესტიციური
კრიზისიდან გამოყვანის მეთოდოლოგიური წა-
ნამძღვრების შექმნა. საქართველოს კრიზისიდან
გამოსვლა და ეკონომიკის აღორძინება საჭიროებს
მნიშვნელოვან პერმანენტულ კაპიტალდაბანდებას
ეკონომიკურად ეფექტიან და ეკოლოგიურად სუფთა
ტექნოლოგიებში. ამ მიმართულებით ინვესტიცი-
ების განხორციელებამ უნდა უზრუნველყოს ისეთი
პროდუქციის წარმოება, რომელიც კონკურენტუ-
ნარიანი იქნება ქვეყნის გარე და შიდა ბაზარზე.
აღნიშნული ამოცანა მეტად რთულია ვინაიდან, მას
კომპლექსური ხასიათი აქვს. მისი გადაჭრის დროს

საჭიროა გავითვალისწინოთ წარმოების ორგანიზაციული ფორმების სრულყოფის აუცილებლობა ბუნებრივ-კლიმატური და ტერიტორიული თავისებურებების მიხედვით. ინვესტიციების განაწილების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ეკოლოგიურად კრიტიკულ ზონებში გარემოს გაჯანსაღებაზე მიმართულ კაპიტალდაბანდებას. ვინაიდან ბაზარი, მისი ბუნებიდან გამომდინარე, ვერ უზრუნველყოფს ამ სფეროში კაპიტალის აუცილებელი რაოდენობით მოზიდვას. აგრეთვე, განსაკუთრებულ მიდგომას საჭიროებს სუსტად განვითარებულ რეგიონებში ინვესტიციების სტიმულირების ეფექტიანი სისტემის შექმნა.

დასახული მიზნის მისაღწევად უნდა გადაიჭრას შემდეგი ძირითადი ამოცანები:

- საქართველოს ეკონომიკაში დაგროვების დონის ამაღლება და დანაზოგების ინვესტიციების ტრანსფორმირების სტიმულირება;
- ინვესტიციების მოცულობის გარზდა და ეფექტიანობის ამაღლება;
- ინვესტიციების სტიმულირება, მაღალტექნოლოგიურ მეცნიერებადტყევად დარგებში შესაბამისი ნორმატიული ინფრასტრუქტურის შექმნის საფუძველზე;
- უცხოური ინვესტიციებისათვის ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის შექმნა. უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის სტიმულირების უზრუნველყოფა;
- საგადასახადო რეფორმის განხორციელება. საგადასახადო სისტემის გამარტივება. გადასახადის მობილიზების დონის ამაღლება და საწარმოების საგადასახადო ტვირთის შემსუბუქება;
- კონკურენტუნარიანი ფინანსური სექტორის ფორმირება, რომელშიც გაერთიანებული უნდა იყოს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარი, დაზღვევის სახელმწიფო ინსტიტუტები, ეკონომიკის რეალური სექტორის ინვესტირებაზე ორიენტირებული სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი განვითარების (ინვესტიციური) ბანკები, სხვა-

დასხვა ფინანსური და ინვესტიციური კომპანიები, კორპორაციული ფასიანი ქაღალდების ბაზარი, კომერციული ბანკები;

- სახელმწიფო სტრუქტურულ პოლიტიკაში სახელმწიფო ინვესტიციების როლის ამაღლება;
- საქართველოს ეკონომიკის დოლარიზაციის პროცესის შეჩერება. ეროვნულ ვალუტაში დანაზოგების ფორმირების სტიმულირება. კაპიტალის გაქცევის შეზღუდვა;

საქართველოს მეზობელ ქვეყნებთან აქტიური თანამშრომლობის განვითარება საერთაშორისო ფინანსურ-სამრეწველო ჯგუფების შექმნის საფუძველზე. საერთაშორისო ფინანსური ლიზინგის, ფრეშიზინგის სისტემისა და ინვესტიციური პროექტების ერთობლივი სახელმწიფო-კომერციული დაფინანსების გაფართოება.

macroeconomic regulation of investments in Georgia

Lamara Mindorashvili

summary

In work it is shown efficiency of investment work in management of market production. Than quicker the production and social device of the country develops, subjects bakes razshireny productions of the capital more intensively. Revival of economy of Georgia needs growth of capital investments in technologies economically effective and non-polluting technologies.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გიტმანი ლ. ჯ., ჯონკი მ. დ. ინვესტირების საფუძველები, თბ., 2008;
2. სიჭინავა ა. ინვესტიციები (თეორია, ორგანიზაცია, ანალიზი, მართვა), თბ., 2010;
3. ქოქიაური ლ. ინვესტიციების ბაზარი: თეორია, პოლიტიკა, პრაქტიკა, თბ., 2000.